



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 2 „ 5 ” 03 20 19წ

დადგენილება № 4

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, 49-ე და 51-ე პუნქტების და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები შემაჯამებელი ოქმების შესაბამისად და გამოცხადებულ აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნონ:

ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობებზე:

მარეხ ნათენაძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე განათლების მიმართულებით (მასწავლებლის განათლება)

ლალი ბერიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე განათლების მიმართულებით (უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია)

მარიანა ბალასანიანი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით (რუსული ფილოლოგია)

მაკა მურვანიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით (ინგლისური ფილოლოგია)

ბ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე:

ლერი ნოზაძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ინჟინერიის მიმართულებით (ინფორმატიკა)

ვასილ ტაბატაძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ინჟინერიის მიმართულებით (ინფორმატიკა)

რევაზ ზედგინიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე დარგთაშორისი მიმართულებით (ეკოლოგია)

გ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე:

ნელი ბერიძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (მენეჯმენტი).


2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს, სამსახურებსა და დაინტერესებულ პირებს.

4. საფუძველი: ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების შემაჯამებელი ოქმები.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე